პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისი
კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 246 (10332) | კვირა, 16 ოქტომბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს (1-ლი გვერდი).

ფინეთის პრემიერ-მინისტრის უ. კეკონენის დეპეშა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პიეტრო ნენი (1-ლი გვერდი).

საშემოდგომო ხვნა-თესვა. — შ. ჭოჭუა. — მოქმედებაში მოვიყვანოთ ყველა რეზერვი (მე-2 გვერდი).

ა. კალანდარიშვილი. — პოლიტიკური აგიტაცია სოფლად (მე-2 გვერდი).

ა. შარვანიძე. — დიდი დოკუმენტების გამოფენა (მე-2 გვერდი).

ვ. იუნოშევა, ო. კარიშევი. — ქართველი ახალგაზრდობა ლენინგრადის უმაღლეს სწავლებლებში (მე-3 გვერდი).

ლიტერატურა და ხელოვნება (მე-3 გვერდი).

ს. რიჟინაშვილი. — შემოდგომა გამოფენაზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მეგაღეოგის შემდგომი განვითარებისათვის

საკოლმეურნეო წყობილების ბრწყინვალე გამარჯვებამ უმაგალითო პირობები შექმნა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და კერძოდ მეცხაღეობის ფართოდ განვითარებისათვის. 1955 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში ხეხილის ბაღების ფართობები 101.208 ჰექტარს შეადგენდა. მეხილეობა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება მოწმობს, რომ ბაღების საუკეთესოდ მოვლით, სწორი აგროტექნიკის განხორციელებით ჩვენში ხილის მოსავლის გადიდების დიდი შესაძლებლობაა. სადაც ამ პირობებს კარგად იყენებენ და ნამდვილად ზრუნავენ მეხაღეობის განვითარებისათვის, იქ ჩინებულ შედეგებსაც აღწევენ. გორის რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს 105 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე 126 ცენტნერი ვაშლი მიიღო. ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირის კოლმეურნეობამ 29 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე 81,54 ცენტნერი ვაშლი მოკრიფა. ხილის მაღალი მოსავალი მოჰყავთ ცალკეულ კოლმეურნეებს. ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც ცნობილია გორის რაიონის სოფელ ქვემის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ წევრი სიკო ცაციაშვილი, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, რომელმაც მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარზე 650 ცენტნერი ვაშლი მიიღო. ასეთი მაგალითი ბევრია. ხილის უხვი მოსავლის ოსტატთა მდიდარი გამოცდილება მოწმობს, რომ საქართველოში უდიდესი რეზერვებია კვების ძვირფასი პროდუქტების — ხილის, კენკრის წარმოების მნიშვნელოვანი გაიდიდებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმმა სხვა გადაუდებელ ამოცანებთან ერთად საბჭოთა ხალხის წინაშე დასახა ბაღების მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლება, ხეხილის და კაკლის ნარგავების ფართობების გადიდება, საერთო მოსავლისა და სასაქონლო პროდუქციის ზრდა ისეთი ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში ძალიერად გადიდდეს ხილისა და კენკრის წარმოება და მოხმარება.

ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგან ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ მეცხაღეობის როგორც საკოლმეურნეო წარმოების დარგის სერიოზულ მნიშვნელობას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ხეხილის ბაღების მოვლას ყურადღება არ ექცევა, მეცხაღეობაში სხვადასხვა სახის სამუშაო აგროტექნიკური ვადების დარღვევით ეწყობა. ხეხილის ბაღებს ცუდად უვლიან მცხეთის, ქარელის, გარეუბნის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში, რის გამო დაბალია მოსავლიანობა.

მეცხაღეობის რაიონებში ხშირია ფაქტები, როცა სათანადოდ არ არის მოვლილი ხეხილი კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, ცუდად ეწყობა ან სულაც არ ხორციელდება საკარმიდამო ნაკვეთებზე მცენარის დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჩამორჩენილი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ურიგდებიან ამ სერიოზულ ნაკლოვანებებს და არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მეხაღეობის შემდგომი განვითარების საფუძველია შრომატევად სამუშაოთა (ხეხილის მწკრივებს შორის მოხვნა, კულტივაცია, წამლობა და სხვ.) ფართო მექანიზაცია, პროგრესული აგროტექნიკური ხერხების გამოყენება. ზოგიერთ რაიონში მეცხაღეობის მექანიზაციის დონე დაბალია. სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა ვალია უზრუნველყონ საწარმოების მიერ მეცხაღეობაში საჭირო მანქანების მეტი რაოდენობით გამოშვება.

მტს-ის მუშაკები ვალდებულნი არიან სრული სიძლიერით გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული მანქანები, გააუმჯობესონ მეცხაღეობის აგრონომიული მომსახურება, აქტიურად დაეხმარონ კოლმეურნეობებს სამრეწველო მეცხაღეობის განვითარებაში.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეცხაღეობის მომარაგებას სასხურებელი და საფრქვევი აპარატებით, მათი სათადარიგო ნაწილებით, აგრეთვე წვრილი ინვენტარით, როგორიც არის სეკატორი, ბაღის ხერხი, სასხლავი, სამყნობი დანა. ამასთან გამოშვებულ უნდა იქნას ბაღის მაღალხარისხოვანი წვრილი ინვენტარი.

27 ოქტომბერს მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ტუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის დაბადების მეასე წლისთავს. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სიყვარულით წარმოთქვამენ დიდი რუსი მეცნიერის, მატერიალისტური ბიოლოგიის დამაარსებლის ი. ვ. მიჩურინის სახელს და ენერგიულად ემზადებიან სახელოვანი თარიღისათვის.

დიდი მეცნიერის მიჩურინის დაბადების დღე ემთხვევა ბაღების საშემოდგომო გამენების სამუშაოებს. ხეხილის ბაღები და კენკრა უნდა გავაშენოთ მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების კარმიდამოებზე, კოლმეურნეობების კანტორების, სკოლების, საბავშვო სახლების, კლუბების გარშემო, აგრეთვე დასახლებული პუნქტების ქუჩების პირას და მათ შორის მდებარე გზებსა და სატყეო მინდორსაცავ ზოლებში. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სათავეში ჩაუდგებიან რა ამ საყოველთაო-სახალხო საქმეს, ამასთანავე მოვალენი არიან ფართოდ გააჩაღონ მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა, მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცხაღეობის საუკეთესო ოსტატთა გამოცდილების დანერგვას.

ხეხილის საშემოდგომო გაშენების ვადები ახლოვდება. მეცხაღეთა გადაუდებელი ამოცანაა დაიჩქარონ საამისოდ ნიადაგის მომზადება, დარგონ მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღი, სტანდარტული ნერგები. ადგილობრივი ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა ყოველნაირად შეუწყონ ხელი კოლექტიური და საკარმიდამო მეცხაღეობის განვითარებას.

გავაფართოოთ საბჭოთა მიწებზე ხეხილის მშვენიერი ბაღები, მივცეთ მეტი მაღალხარისხოვანი ხილი სოციალისტურ სამშობლოს!

მის აღმატებულებას

ბატონ კ. ე. ვოროშილოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი.

თქვენმა ცნობამ იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1955 წლის 19 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმებანი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და თქვენმა, ბატონო თავმჯდომარევ, გულითადმა მოლოცვებმა და გამოთქმულმა სურვილებმა პირადად მე დიდი სიხარული მაგრძნობინა.

მეც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ოქმი ფინეთისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ და შეთანხმება ფინეთისათვის პორკალა-უდის ტერიტორიის დაბრუნების შესახებ ძირითადი ნიშანსვეტებია ჩვენი ხალხების მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობის გზაზე, რომელიც კარგი მაგალითია მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარევ, მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ დიდმნიშვნელოვან შეთანხმებათა რატიფიკაციის გამო და ეუსურვო ბედნიერება დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებს.

ი. კ. პაასიკივი,
ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პიეტრო ნენი

იალტა, 15 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იტალიის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი, იტალიის პარლამენტის დეპუტატი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე პიეტრო ნენი და ხანგრძლივი მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან საერთაშორისო მდგომარეობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ზოგად პრობლემებზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და პიეტრო ნენიმ ერთად ისადილეს და გაისეირნეს ზღვის ნაპირზე.

გზა მშვიდობისა!

ჯვარის უღელტეხილს, საიდანაც, როგორც იტყვიან, ნახევარი საქართველო ჩანს, სხვანაირად ბადარას ეძახიან. ეს ყველაზე სახიფათო ადგილია საქართველოს სამხედრო გზაზე. ამიტომ ქართველი მწყემსები, რომლებიც ზამთარს კასპიისპირეთში ატარებენ, ყოველთვის ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად გააცილონ ცხვარი ზვავებისა და ღრუბლების ამ სამეფოს.

გადამიშვი ბიდარაო,
შენი არა მინდარაო...

მღერიან მწყემსები.

იმ დღეს კი ბიდარაზე მართლაც არაჩვეულებრივი ამინდი იდგა, ულრუბლო ციდან მზიარულად ანათებდა შემოდგომის მზე, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ზამთრის მოახლოება, ბიდარის მახლობელი მთები თოვლის ჭაღარით შეღებილნენ, ბალახი გადამხმარა და ყველაფერს შემოდგომის ყვითელი ფერი დასდებია.

ბევრი ხალხი შეიკრიბა ჯვარის უღელტეხილზე საზამთრო საძოვრებზე მიმავალი მწყემსების გასაცილებლად, აქ იყვნენ დუშეთის რაიონის ხელმძღვანელები მუშაკები, ზოოვეტსპეციალისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მლეთის, მთიულეთის, ქვეშეთის და სხვა ახლომახლო სოფლების კოლმეურნეები, სტუმრები დედაქალაქიდან.

მწყემსების გამგზავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანმა ვ. ბორდულმა. მეცხვარეებს მშვიდობით მგზავრობა და ახალი წარმატებები უსურვეს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. მწიფურმა, მლეთის საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. კერკუშულმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა ტ. კობახიძემ და სხვებმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მლეთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგემ შალვა ნაზღაიძემ:

— ჩემი მეგობრების სახელით დიდ მადლობას გიძღვნით გულთბილი გაცილებისა და კეთილი სურვილებისათვის, დარწმუნებული იყავით, რომ მწყემსები სრულად გაამართლებენ მათზე დაკისრებულ ამოცანას, უდანაკარგოდ გადარეკავენ ცხვარს, საუკეთესოდ გამოაზამთრებენ მას და გაზაფხულზე ახალი გამარჯვებით დაუბრუნდებიან მშობლიურ სოფლებს...

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. პეტრიაშვილმა მწყემსებს საზეიმო ვაცილება მოუწყო. მოწინავე მწყემსმა მიხა ნაზღაიძემ, რომელიც ნოდაეთში ორმოცდამეოთხე ზამთარს გაატარებს, დღეგრძელობა უსურვა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას იმ დიდი ზრუნვისათვის, რასაც ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეებისადმი იჩენენ.

გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მლეთის საშუალო სკოლისა და დუშეთის სარაიონო კულტურის სახლის თვითმოქმედი ანსამბლის წევრებმა.

...მთებში სიბნელე ჩამოწვა, ზღვის დონიდან 2.395 მეტრის სიმაღლეზე კოცონები აკიაფდა, მწყემსთა ერთი ნაწილი ღამეს აქ, ცის ქვეშ გაათენებს და დილით ადრე დარიალის ვიწროებისაკენ მიმავალ გზას დაადგება.

საქართველოს სამხედრო გზაზე ამ დღეებში გავლა არც ისე ადვილია. ტაატით მიჰყვებიან გზას თეთრი კუნძულები — დუშელების, თიანელების, ლენინგორელებისა და ყაზბეგლების მრავალათასიანი ფარები. თიანეთისა და ლენინგორის ზოგიერთი ფარა უკვე გასცდა ბიდარის უღელტეხილს. წინა ფარას მიუძღვება მლეთელი მწყემსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შიო ნაზღაიძე.

მწყემსებს მიაცილებენ ზოოვეტსპეციალისტები, ექიმები, პარტიული მუშაკები.

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მის აღმატებულებას

ბატონ ნ. ა. ბულგანინს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი.

ფინეთის მთავრობის სახელით და პირადად გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის მთავრობას თქვენი თავაზიანი მოლოცვისა და გამოთქმული სურვილებისათვის იმის გამო, რომ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცეს ოქმი ფინეთისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ, აგრეთვე შეთანხმება ფინეთისათვის პორკალა-უდის ტერიტორიის დაბრუნების შესახებ.

ფინეთის მთავრობა საგანგებოდ უერთდება საბჭოთა მთავრობის აზრს, რომ ამ შეთანხმებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენ მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეთანხმებანი წარმოადგენენ ჩვენს ხალხებსა და მათ მთავრობებს შორის ურყევი მეგობრობის, ღრმა ურთიერთგაგებისა და გულწრფელი ნდობის საიმედო საწინდარს.

გთხოვთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, და თქვენი სახით სსრ კავშირის მთავრობას მიიღოთ ფინეთის მთავრობისა და პირადად ჩემი უაღრესად გულწრფელი მოლოცვა, აგრეთვე ჩვენი საუკეთესო სურვილები საბჭოთა კავშირის ხალხთა კეთილდღეობის და წარმატებისა.

ურჰო კეკონენი,
ფინეთის პრემიერ-მინისტრი.

დეპეშების გაცვლა ლუქსემბურგის პარლამენტის დელეგაციასა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შორის

საბჭოთა კავშირში მყოფი ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ე. რეიტერმა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს მიმართა შემდეგი დეპეშით:

ლუქსემბურგის პარლამენტის დელეგაცია მუშაობას გამოთქვამს იმის გამო, რომ არასაფრენმა ამინდმა ხელი შეგვიშალა ეწვეოდით თქვენს მშვენიერ ქალაქს. დელეგაცია ლუქსემბურგელი ხალხის გულითად სალამს უძღვნის და მხურვალედ უსურვებს აყვავებას თქვენს რესპუბლიკასა და ქალაქ თბილისს, უსურვებს მეგობრულ ურთიერთ თანამშრომლობას ყველა ხალხს, რომელიც მშვიდობას ესწრაფვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპასუხო დეპეშაში ნათქვამია:

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ თქვენი მეგობრული მისალმებისა და ომისათვის, რომ აყვავებას უსურვებთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

ვწუხვართ, რომ არ მოხერხდა ჩამოსულიყავით და პირადად გაეცნობოდით ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და საქმიანობას.

გთხოვთ გადასცეთ ჩვენგან მხურვალე სალამი ლუქსემბურგელ ხალხს და უსურვოთ კეთილდღეობა და აყვავება.

(საკდესი).

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

წლიური გეგმების ვადამდე შესრულებისათვის

ამბროლაური. (სპეც. კორ.). აღდგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები მასობრივად არიან ჩაბმული პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით იბრძვიან წლიური გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. უკვე მოიპოვა პირველი გამარჯვება რაიონში წელს ამუშავებული კირის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც 1 ოქტომბრისათვის წლიური გეგმა 130,7 პროცენტით შეასრულა და ამჟამად პროდუქციას გეგმის გადამეტებით იძლევა.

გამართულად და კარგად მუშაობს ბრეგადოს კრამიტის ქარხანა, რომელიც იძლევა რესპუბლიკაში საუკეთესო ხარისხის კრამიტს. ამ ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ს. ჭიღვარია) ცხრა თვის გეგმა წარმატებით შეასრულა და შეძლო პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლება.

წარმატებით შეასრულეს საწარმოო დავალებები აგრეთვე ავეჯის ქარხანამ (დირექტორი კ. გაგოშიძე) და რაიონული სამრეწველო კომბინატის სხვა საწარმოებმა.

ათი თვის გეგმა ცხრა თვეში

ქუთაისის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივმა საბჭოთა კავშირის კომპარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი გამარჯვება მოიპოვა — ათი თვის გეგმა 9 თვეში შეასრულა. დავალების გადამეტებით გამოშვებულია ასი ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ მეფეხსაცმლეები, რომლებმაც გეგმის გადამეტებით დაამზადეს ათასი წყვილი ფეხსაცმელი. ბევრი მუშა 1956 წლის ანგარიშში მუშაობს.

კომბინატის კოლექტივის ვალდებულებაა წლიური საწარმოო გეგმა ვადაზე 2 თვით ადრე შეასრულოს. (საკ. კორ.).

ხურათზე: დუშეთის რაიონიდან საზამთრო საძოვრებზე მიმავალი მწყემსების გაცილება საქართველოს სამხედრო გზაზე — გუდაურის მისადგომებთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საშემოდგომო ხვნა-თესვა

მოქმედებაში მოვიყვანოთ ყველა რეზერვი

დადგა საშემოდგომო კულტურების — ხორბლისა და ქერის თესვის გადამწყვეტი პერიოდი. ხაშურის რაიონში კოლმეურნეები და მექანიზატორები ბევრგან უნარიანად იყენებენ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და შრომითს რეზერვებს, სიმინდისა და შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებასთან ერთად გაძლიერებული ტემპით ხნავენ და თესავენ.

სოფელ ნაბახტევის კოლმეურნეობაში ვადაზე ადრე დაამთავრეს საშემოდგომო ხვნა. ახლა სწრაფი ტემპით თესავენ. კოლმეურნეობას ენერგიულად ეხმარებიან გომის მტს-ის მოწინავე მექანიზატორები. თესვაში დაწინაურდა მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი შ. მოსიაშვილი). ტრაქტორისტი ს. ჭელიძე, რომელიც პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, ორი სათესი მანქანით დღეში თესავს 30-35 ჰექტარს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ჰექტარისა.

შეჯიბრებაში წინ მიდის სოფელ კლდისწყაროს კოლმეურნეობა, რომელმაც რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრა ხვნა და ახლა ამთავრებს თესვას. ხაშურის მტს-ის ტრაქტორისტმა თ. გელაშვილმა ამ კოლმეურნეობაში კარგი ინიციატივა გამოიჩინა. იგი ერთი ტრაქტორით 4 საათს მანქანას ამუშავებს და ყოველდღიურად 45 ჰექტარზე მეტს თესავს. ამ თაოსნობას მიბაძა ხაშურელმა მექანიზატორმა ლ. ღამბარაშვილმა და გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად 10-15 ჰექტარ ხორბალს თესავს.

მინდვრის სამუშაოებში დაჩინაურდნენ აგრეთვე სოფლების მიწობის, ზემო ოსიაურის, ცხრამუხის, სატივეს, ვაყის და სხვა კოლმეურნეობები.

მაგრამ ყველგან ჯეროვნად როდი აფასებენ თესვის აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებას. ზოგიერთ კოლმეურნეობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით. სოფელ ტყოცის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. გრიგალაშვილი) ნელა ხნავენ და თესავენ. აქ გამოყენებული არ არის შინაგანი რეზერვები, ნაკლები ყურადღება ექცევა მუშა პირუტყვის გამოყენებას.

გომის მტს-მა ჩამორჩენის გამოსასწორებლად მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის შვიდივე ტრაქტორი ერთდროულად სამუშაოდ ტყოცის კოლმეურნეობაში გაგზავნა. ამან საერთოდ მტს-ის მუშაობაში იერიშობანა, მინდვრის სამუშაოს ცუდად შესრულება და მანქანების გაცდენა გამოიწვია. მაგალითად, 11 ოქტომბერს „კდ-35“ მარკის ტრაქტორს ნაწილების დაზიანების გამო არც ერთი ჰექტარი არ მოუხნავს.

ზოგიერთ ზიგზაგს, რომლებიც კოლმეურნეობისაა, 30 პროცენტი კბილანები აკლია და ამიტომ ნიადაგს უხარისხოდ აშწრეტდა. ორი სათესი მანქანა წესრიგზე არ იყო და უქმად იდგა. უფრო მეტიც. კოლმეურნეობის გამგეობისა და აგროპერსონალის დაუდევრობის შედეგად 11 ოქტომბერს ტრაქტორისტები ვ. ტეფნაძე და ვ. ხაჩიძე ხორბალს ისე თესავდნენ, რომ თესლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწაში არ იყო ჩაფლული. ამას ხედავდნენ კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი ნ. გელაშვილი და სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ა. მოსიაშვილი, მაგრამ ეს მათ ოდნავაც არ აღელვებდა.

როცა საშემოდგომო თესვის მიმდინარეობაზე ვესაუბრეთ მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს ა. მოსიაშვილს, მან გულდამშვიდებით განაცხადა:

— საშემოდგომო თესვის მხრივ ჩვენი მომსახურების კოლმეურნეობებში მაინცდამაინც ცუდი მდგომარეობა არ არის. ნაკისრი ვალდებულებით ხვნა-თესვა 18 ოქტომბრამდე უნდა დავამთავროთ და ჩვენ ამას გავაკეთებთ.

მაგრამ საქმის ნამდვილი მდგომარეობა ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც სატრაქტორო ბრიგადირმა წარმოადგინა, მის სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარია.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში სათესლე მასალის გამოყოფით დაკმაყოფილდნენ და თავს არ იწუხებენ მის გასაწმენდად. მაგალითად, სოფელ ქემფერის კოლმეურნეობაში საჭიროა 279 ცენტნერი ხორბლის თესლი, ფაქტიურად კონდიციური თესლი აქვთ მხოლოდ 140 ცენტნერი. კოლმეურნეობა ჩამორჩა ხვნაშიც. აქ 40 სული მუშა-პირუტყვი ჰყავთ, მაგრამ მას რატომღაც არ იყენებენ. მუშა პირუტყვით არც ერთი ჰექტარი არ მოუხნავთ და არ დაუთესიათ. ახლა, თესვის ამ საუკეთესო დღეებში, განა შესაწყნარებელია ასეთი მდგომარეობა?

რას აკეთებს პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ს. აბაზაძე) ამ ჩამორჩენის აღსაკვეთად? ბევრს არაფერს. იგი განზე დგას საკოლმეურნეო სამუშაოებისაგან. არ იგრძნობა კომუნისტთა ავანგარდული როლი.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მინდვრის სამუშაოთა ხელსაყრელ პირობებს ნაკლებად იყენებენ. ეს კი საფრთხეს უქმნის საშემოდგომო თესვის გეგმის აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

220 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე

ყვარელი. (საკ. კორ.). ჭიკანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. მანძულაშვილი) რთველი სწრაფად მიმდინარეობს. კოლმეურნეებს ყურძნის უხვი მოსავალი ახარებს. ბ. ყიფშიძის ბრიგადაში ჰექტარზე 120 ცენტნერ ყურძენს იღებენ. კოლმეურნე ბ. სააკო�ა მოსავლიდან მიჩენილ ერთ ჰექტარ ვენახში 220 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, ა. ხუციშვილმა კი 200 ცენტნერი. კოლმეურნე ლ. ბრეგვაძემ ყურძნის მოსავლიანობის დავალება 320 პროცენტით შეასრულა.

ჭიკანელებმა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების დავალება დიდი გადამეტებით შეასრულეს.



— გამოვიყენოთ ყველა რეზერვი საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად! — ამ ლოზუნგით მუშაობენ და იბრძვიან საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში.

სურათზე: 1. რეკონსტრუირებული ლითონსატეხი ჩარხი, რომელსაც იყენებენ სპილენძის საფილტრო ფურცელში ხვრელების გასაკეთებლად. ეს ჩარხი გადაკეთებულ იქნა რაციონალიზატორ ვ. ბალდასარიოვის მიერ, რითაც საწარმომ მიიღო 36.000 მანეთი ეკონომია; 2. ღვინის საფილტრაცია მანქანა, რომელსაც სპილენძის ამონაგი შეუცვალეს ე. წ. ბაკელიტებული რეზინის ფურცლების ამონაგით. ამით საწარმომ უკვე მიიღო 1.300 ათასი მანეთი ეკონომია.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი უყურადღებობის შედეგი

ცნობილია, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პროექტის შედგენაში მასობრივად უნდა მონაწილეობდნენ ინჟინერ-ტექნიკოსები, მუშები, მოსამსახურეები, პარტიული და პროფკავშირული აქტივი.

გორის საკონსერვო ქარხანაში შეადგინეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პროექტი, რომელიც განიხილეს მოწვეულ თათბირზე და, როგორც შემდგომ ინსტანციას, გადაუგზავნეს საქართველოს საკონსერვო მრეწველობის ტრესტს. ქარხნის პარტბიუროს მდივანმა დ. სურამელაშვილმა, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. აბესაძემ და საგეგმო განყოფილების უფროსმა შ. აბრამიანმა ვრცლად გვიამბეს ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტის შედგენაში თავიანთი, აგრეთვე ქარხნის დირექტორის, მთავარი ინჟინრის და საამქროთა უფროსების მონაწილეობის შესახებ, ჩაგვაწერინეს მთავარი მაჩვენებლები.

— მეექვსე ხუთწლედში ბოსტნეულის კონსერვების გამოშვება 1955 წელთან შედარებით გადიდდება 42,2 პროცენტით, ხილის წვენისა — 66,7 პროცენტით... შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 41 პროცენტით; გათვალისწინებულია სტაფილოს, ხახვისა და სხვა საკონსერვო ბოსტნეულის ტექნოლოგიური დამუშავების სრული მექანიზაციის განხორციელება...

მაგრამ, როცა მოსაუბრეებს შეველაპარაკეთ, თუ რა მონაწილეობა მიიღეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პროექტის შედგენაში ქარხნის მოწინავე ადამიანებმა — მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა, მათ ვერაფერი გვითხრეს. თურმე სათქმელიც არაფერი ჰქონიათ.

საკვირველი ის არის, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. აბესაძემ ისიც კი არ იცოდა, რომ საჭირო იყო ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტის მასობრივად განხილვის მოწყობა. ახლა განვიხილავთო, — თქვეს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ და საქარხნო პარტორგანიზაციის მდივანმა და, მართლაც, ამ საუბრის შემდეგ 17 ოქტომბრისათვის დანიშნეს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება უკვე „დამუშავებული“ და ზემდგომ ორგანოში წარდგენილი ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტის განსახილველად.

აშკარაა, რომ ეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პროექტის მნიშვნელობის შეუფასებლობაა, თუ მეტი არა. ახალი გეგმის პროექტი საკონსერვო ქარხნის ხელმძღვანელებს ახლა სურთ „დაიყვანონ თვითეულ მუშამდე“!

გორის რაიონის ხილ-ბოსტნეულის ძლიერი ბაზა საშუალებას აძლევს საკონსერვო ქარხნის კოლექტივს მეექვსე ხუთწლედში უკეთესად იმუშაოს, გამოუშვას უკეთესი, უფრო მეტი და უფრო გემრიელი ახალი სახის კონსერვები, მაგრამ ახალი გეგმის პროექტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა ახალი სახის კონსერვების გამოშვებას აპირებენ, როგორ გაეუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს და ა. შ. ამ საკითხებზე კი ბევრი აქვთ სათქმელი გორელ მეკონსერვეებს. რატომ არ უნდა მზადდებოდეს გორში მაყვლისა და ყურძნის მურაბები, ჯონჯოლის, წიწაკის და სხვა ბოსტნეულის მწნილები?

გორის საკონსერვო ქარხანაში ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტის ზერელედ და ნაჩქარევად დამუშავების ფაქტი მოწმობს იმას, რომ პარტიის გორის საქალაქო კომიტეტი, კერძოდ მისი მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილება, არასაკმაოდ ეხმარება ხელმძღვანელობს ადგილობრივ საწარმოებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმების პროექტების შედგენა-განხილვის საქმეს.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დიდი დოკუმენტების გამოფენა

აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა, რომლის ცენტრალურ ადგილზეა ოქტომბრის რევოლუციის დიდი ორგანიზატორების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები.

გამოფენის პირველ დარბაზში ნაჩვენებია რევოლუციამდელი აფხაზეთის მშრომელთა ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები და მასალები. გამოფენილია გაზეთ „ბრძოლის“ 1901 წლის ნომრები, ნაჩვენებია საქართველოში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ამსახველი მასალები და დოკუმენტები. აქვე არის ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის სქემა და ი. ბ. სტალინის უახლოესი თანამებრძოლების ა. წულუკიძისა და ლ. კეცხოველის სურათები, მათი რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

გამოფენის შემდეგ დარბაზში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აფხაზეთში რევოლუციური მოძრაობის ამსახველ მასალებს. ფოტოსურათები და სხვა დოკუმენტები ასახავენ მშრომელთა მასობრივ დემონსტრაციებსა და გამოსვლებს სოხუმსა და მთელ აფხაზეთში.

განსაკუთრებით ფართოდ არის ნაჩვენები ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლის სერგო ორჯონიკიძის რევოლუციური მოღვაწეობა აფხაზეთსა და განსაკუთრებით გუდაუთის რაიონში. აქვე წარმოდგენილია სტალინური პრემიის ლაურეატის მხატვარ უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებული შესანიშნავი სურათი: „იარაღის გადმოტვირთვა ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით სოფელ ბომბორში“. ნაჩვენებია გუდაუთის პარკი, სადაც 1905 წელს მშრომელთა მიტინგზე თვითმმყრობელობას წინააღმდეგ [illegible] სიტყვა წ[illegible] ძემ.

გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები მოგვითხრობენ 1905 წლის ამბებზე თბილისში. ფოტოდოკუმენტები ასახავენ თბილისის მშრომელთა მრავალრიცხოვან დემონსტრაციებსა და გამოსვლებს დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფოტოსურათები: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით“.

აფხაზეთის რევოლუციური წარსულის ამსახველ მასალებში დამთვალიერებლები ნახულობენ შეუფოვარი ბოლშევიკი რევოლუციონერების გოთოშია, დონდუას, ნადარეიშვილის, კალურაძის, მელიაძისა და სხვათა სურათებს, რომელთა ხსოვნას წმიდად ინახავენ აფხაზეთის მშრომელები.

გამოფენაზე ექსპონირებულია მხატვრების კუკულაძის, სოროსტინის, გაფიტაშვილისა და სხვათა მიერ შესრულებული სურათები: „აჯანყებული ჭუშები სოხუმის ქუჩებში“, „ორჯონიკიძე გუდაუთის გლეხებს შორის“, „ორჯონიკიძის დაპატიმრება სოფელ ბომბორში 1905 წელს“ და სხვ.

შემდეგ განყოფილებაში მოთავსებული მასალები გვიჩვენებენ რევოლუციის დამარცხებას და რეაქციის გაძლიერებას. ნაჩვენებია სოხუმის ციხის მოდელი, სადაც 1906-1908 წლებში დაპატიმრებული იყო სერგო ორჯონიკიძე აფხაზეთში რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ნაჩვენებია სოხუმის საპყრობილეში რევოლუციონერების ტანჯვა-წამება, რევოლუციონერ ბოლშევიკის ლევან გოთოშიას ვერაგული მოკვლა სოხუმის ციხეში და სხვ.

ა. შარვანიძე.

სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმის შენობის რესტავრაცია

ბევრი საბჭოთა ადამიანისათვის კარგად ცნობილია ლამაზი ძველებური შენობა გორკის ქუჩაზე მოსკოვში, სადაც სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმია. ეს დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი არქიტექტურული და ისტორიული ძეგლია.

სახლი-სასახლე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ააშენა არქიტექტორმა ა. მენელასმა პოეტ მ. ხერასკოვისათვის, ხოლო 1812 წლის ხანძრის შემდეგ იგი აღდგენილ იქნა გამოჩენილი რუსი ხუროთმოძღვრის დემენტი ჟილიარდის პროექტის მიხედვით.

ახლა დაიწყო მუზეუმის შენობის გაახალგაზრდავება. პროექტით, რომელიც შედგენილია „მოსპროექტის“ ინსტიტუტის სარესტავრაციო სახელოსნოში, დასახულია აქ განხორციელდეს დიდი სამუშაოები შენობის ძველებური ფასადის აღსადგენად.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე გორკის ქუჩა, როგორც ცნობილია, რეკონსტრუირებულ იქნა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ძველი სახლები მშენებლებმა დაანგრიეს. მათ ადგილზე აშენდა ახალი სახლები, ხოლო ზოგიერთი შენობა გადატანილია სიღრმეში. რევოლუციის მუზეუმის შენობის გადატანა შეუძლებელი იყო, და საჭირო გახდა ჩამოეშალათ ორი ფრთა, რომლებიც გაფართოებული ქუჩის „წითელ ხაზს“ იქით აღმოჩნდა, ხოლო ტორსის კედლები სწრაფად ამოაშენეს, ძველებური სახის დაუცველად.

ახლა, შემორჩენილი ნახაზების მიხედვით, ტორსის კედლებზე გაკეთდება ფანჯრის ჭრილები, პორტიკები და ლავგარდანი, აღდგენილი იქნება ყველა ნაძერწი და არქიტექტურული დეტალი. შეიცვლება სახურავის ფორმა ორივე ფრთაზე. შენობის ფასადს შეღებავენ მოვარდისფრო ტერაკოტის ფერის გამძლე საღებავით, როგორც ძველით იყო.

რესტავრირებული იქნება ლითონის გალავანი შენობის ცენტრალური ნაწილის წინ. ჭიშკრის მასივურ პილონებს თეთრი ქვით მოაპირკეთებენ. (საკ. დესი).

პოლიტიკური აგიტაცია სოფლად

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ვადამდე შესრულდა პურის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის და ბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმები. მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. კარგად მოაწყო მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობა ხაშურის რაიონის სოფელ აგარების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ. კოლმეურნეობაში არ არის არც ერთი ბრიგადა, რგოლი და ფერმა, სადაც აგიტატორის მგზნებარე, მომწოდებელი ხმა არ გაისმოდეს. აგიტატორები ყოველდღიურად მართავენ საუბრებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესახებ, მიმდინარე პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ეწევიან სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებას ფართო პროპაგანდას. კოლმეურნეებისათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები. წელს აქ წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე — „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“, „მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გზები“, „მარცვლეული მეურნეობის განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია“ და სხვ.

აგიტატორთა თეორიული დონის ამაღლებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში მათთვის დახმარების გაწევის მიზნით კვირაში ერთხელ იმართება აგიტკოლექტივის სემინარი. პარტიული ბიურო პერიოდულად ამოწმებს პოლიტიკური აგიტაციის დაყენებას ცალკეულ ბრიგადებში, ფერმებში და იღებს ზომებს გამომყოფებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ასეთი კონკრეტული ხელმძღვანელობის და დახმარების შედეგად პოლიტიკური აგიტაცია სამეურნეო წარმატებათა მოპოვების მძლავრ საშუალებად გადაიქცა. წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შემჭიდროებულ ვადებში და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრული დაცვით შესრულდა. კოლმეურნეობამ ხორბლის კარგი მოსავალი მიიღო, წარმატებით მიმდინარეობს შაქრის ჭარხლისა და სიმინდის მოსავლის აღება. თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული მეცხოველეობაში, დიდი გადაჭარბებით შესრულდა როგორც პირუტყვის სულადობის, ისე წველადობის გეგმები.

ჩაებნენ რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, სოფელ აგარების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გადიდებული ვალდებულებები აიღეს. ახლა ისინი წარმატებით ანაღდებენ ამ ვალდებულებებს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1 ოქტომბრისათვის მიღებულ იქნა 1.003 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 750 კილოგრამისა.

უკანასკნელ ხანებში საფუძვლიანად გაუმჯობესდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ამავე რაიონის სოფელ ულუმბის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. ეს კოლმეურნეობა წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა. გასულ წელს მან სანახევროდაც ვერ შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები. ხშირი იყო კოლმეურნეთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე აღნიშნულ კოლმეურნეობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ამითაც აიხსნება ის, რომ ამ ბოლო ხანებში აქ მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. წელს კოლმეურნეობაში ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დროულად და აგროღონისძიებათა სრული დაცვით შესრულდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეცხოველეობის განვითარებას, პირუტყვის წესიერ კვებასა და მოვლა-პატრონობას. სამეურნეო წლის განმავლობაში თვითეულ საფურაჟე ინოთაზე მიღებულია 788 კილოგრამი რძე, მაშინ როცა წინა წელს თვითეულ ძროხაზე მხოლოდ 86 კილოგრამი რძე მიიღეს.

მაგრამ რაიონის ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი აქცევს ჯეროვან ყურადღებას მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. მაგალითად, სოფელ ყველათის კოლმეურნეობის წევრთა შორის სუსტად არის დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია. მეტი წილი აგიტატორები იშვიათად აწყობენ საუბრებს. ისინი ვერ იცნობენ კოლმეურნეობაში, ბრიგადებსა და ფერმებში არსებულ მდგომარეობას, წარმოდგენა არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის განვითარების გეგმებზე. კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დაგვიანებით შესრულდა, ცუდად უვლიან პირუტყვს. ამის შედეგად წელს ხორბლის დაბალი მოსავალი მიიღეს, ხოლო წველადობის გეგმა სანახევროდაც ვერ შეასრულეს.

კიდევ უფრო ცუდად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ახმეტის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში (პარტბიუროს მდივანი თ. კაპანაძე). საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ აგიტკოლექტივში 24 აგიტატორია გაერთიანებული, მაგრამ მათი დიდი ნაწილი კეთილსინდისიერად არ ასრულებს თავის მოვალეობას. პარტიული ორგანიზაციის კრებებზე იშვიათად განიხილავენ საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს. მართალია, მიმდინარე წლის ივნისში პარტიულ კრებაზე ორჯერ დააყენეს საკითხი აგიტატორების ვ. გაგოშიძის, ნ. ჩოკალაშვილის, თ. ბეიტრიშვილის მუშაობის შესახებ, მაგრამ იმის გამო, რომ პარტიულ კრებაზე ამ აგიტატორების დასწრება ვერ უზრუნველყვეს, კრება ორჯერვე ჩაშალა, შემდეგ კი აღნიშნული საკითხის განხილვა სრულებით დაივიწყეს. კოლმეურნეობაში სუსტად არის დაყენებული თვალსაჩინო აგიტაცია. მოწყობილი არ არის ვიტრინები რესპუბლიკური და რაიონული გაზეთებისათვის, არა აქვთ ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები და სხვ. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სამეურნეო საქმიანობაზე. სამეურნეო წლის თერმეტი თვის განმავლობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 287,7 კილოგრამი რძე. ჭიანურდება საკვების დამზადება და სილოსის ჩაფენა. ბევრი კოლმეურნე აქტიურად არ მონაწილეობს შრომაში. ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების შესწავლასა და წარმოებაში დანერგვას.

ასევე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ქარელის რაიონის სოფელ ელბაქიანთკარის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ელბაქიძე). აგიტატორებს ზ. ჩინჩალაძეს, ე. ჯიოევას და ს. ქოქოლეას მაისის შემდეგ ერთხელაც არ მოუწყვიათ საუბარი, კოლმეურნეებისათვის არ გაუცვნიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებები. მეცხოველეობის ფერმაში აქამდე არ არის გამოყოფილი აგიტატორი. კოლმეურნეებისათვის იშვიათად იმართება საუბრები, ლექციები და მოხსენებები, არ ხდება კინოფილმების ჩვენება. ნაკლები ყურადღება ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას. მოწყობილი არ არის სოციალისტური შეჯიბრების დაფა, მოწინავეთა ფოტოსურათების გამოფენა, არ გამოდის კედლის გაზეთი. კოლმეურნეობაში არ ხდება სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. ჭიანურდება საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

სერიოზული ნაკლოვანებებია მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში აგრეთვე საგარეჯოს, ბოგდანოვკისა და ადიგენის რაიონებს მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ეს ნაკლოვანებანი მასობრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში გამოწვეულია იმით, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომი საკმაო ყურადღებას არ აქცევს პოლიტიკურ მუშაობას მასებში. პარტიის რაიკომის მდივნები და ინსტრუქტორები მტს-ების ზონებში, პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკები იშვიათად მიდიან კოლმეურნეობებში, არ სწავლობენ მშრომელთა მოთხოვნებს, ხშირად არ გამოდიან მათ წინაშე საუბრებით, მოხსენებებითა და ლექციებით.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სასწრაფოდ აღმოფხვრან მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ყოველმხრივ ამაღლონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე, წარმართონ იგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების უზრუნველსაყოფად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პოლიტიკური აგიტაციის ხარისხს, მის იდეურ დონეს. არ კმარა მარტო აგიტატორების გამოყოფა, როგორც ამას ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია აკეთებს, საჭიროა მათთან სისტემატური მუშაობა, საინსტრუქტაჟო თათბირებისა და სემინარების მოწყობა. აგიტატორებს სისტემატურად უნდა გავაცნოთ სამუშაოთა მიმდინარეობა როგორც კოლმეურნეობაში, მტს-ში და საბჭოთა მეურნეობაში, ისე ცალკეულ სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადებში. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს აგიტატორების მომზარგება ჟურნალ-გაზეთებით, ლიტერატურით, თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით, მასალებით კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობის შესახებ.

ახლა სოფლად ფართოდ არის გაჩაღებული საშემოდგომო ხვნა-თესვა, მოსავლის აღება და პირუტყვისათვის საკვების დამზადება. პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება, როგორიც არის საუბარი, მოხსენება, ლექცია, გაზეთის კითხვა, კედლის გაზეთი, ფოტოგაზეთი, რადიო, კინო და სხვ., ფართოდ უნდა გამოიყენონ საშემოდგომო სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებისათვის კოლმეურნეთა ფართო მასების დასაინტერესებლად.

საშემოდგომო სამუშაოთა პერიოდში კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაჩაღდეს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. აგიტატორები სოციალისტური შეჯიბრების წამომწყებნი და ინიციატორები უნდა იყვნენ. მათ პერიოდულად უნდა მოაწყონ შეჯიბრების შედეგების შეჯამება და საყოველთაო გაცნობა, ფართო პროპაგანდა აწარმოონ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პოპულარიზაციისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

სოფლად პოლიტიკური აგიტაციის მაღალ დონეზე დაყენებისათვის კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესოთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა. საჭიროა კლუბების, სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების მუშაკები ხშირად მიდიოდნენ საკოლმეურნეო ბრიგადებში და მეცხოველეობის ფერმებში, მიჰქონდეთ კოლმეურნეებთან ახალი ჟურნალ-გაზეთები, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, აწყობდნენ მათთვის საუბრებს, მოხსენებებს და ლექციებს.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. პარტიული ორგანიზაციებს ამოცანაა უნარიანად გამოიყენონ პოლიტიკური აგიტაციის მთელი ძალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიადი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

ა. კალანდარიშვილი,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ახალგაზრდობა ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში

ლენინგრადში 50-მდე უმაღლესი სასწავლებელია. წელს ამ უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ იქნა 20 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი. ისინი ლენინგრადში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, აგრეთვე ჩინეთიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებიდან.

ახალგაზრდების მისწრაფება, რომ ლენინგრადში მიიღონ განათლება, საკუთრივ გასაგები. აქ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა შორის ბევრია მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, აქ არის უმდიდრესი ბიბლიოთეკები, მუზეუმები, ერთი სიტყვით, არის ყველაფერი, რაც აუცილებელია ცოდნის სხვადასხვა დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად.

ლენინგრადელ სტუდენტებს შორის არიან ქართველი ახალგაზრდებიც, რომლებიც შეუპოვრად ეუფლებიან მეცნიერების მწვერვალებს.

...ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის უნივერსიტეტი. ეს ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უძველესი სასწავლებელია, რომელიც ფორთოდ არის ცნობილი თავისი სახელოვანი ისტორიით, რევოლუციური ტრადიციებით. ეს უნივერსიტეტი ექსტერნად დამთავრა ვ. ი. ლენინმა.

ლენინგრადის უნივერსიტეტმა ჩვენს ქვეყანას მისცა ასობით გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები. ამ უნივერსიტეტში მიიღეს განათლება დ. ი. მენდელეევმა, ი. პ. პავლოვმა, კ. ა. ტიმირიაზევმა, რადიოტელეგრაფის ცნობილმა გამომგონებელმა ა. ს. პოპოვმა, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, ი. ს. ტურგენევმა, ნ. ა. ნეკრასოვმა და ბევრმა სხვამ.

როდესაც ჩვენ უნივერსიტეტში მივედით, სწორედ დიდი შესვენების დრო იყო. ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად დასეირობდნენ ნევის სანაპიროზე შემოდგომის მზიან დღეს და ტკბებოდნენ თავლწარმტაცი ქალაქის პანორამით. ჩვენ შემოგვხვდა ორი ქალიშვილი და ორი ჭაბუკი. ეტყობოდათ სამხრეთელები იყვნენ.

— ჩვენ ყველანი კავკასიიდან ვართ, მაგრამ ერთმანეთი ვნახეთ და გავიცანით მხოლოდ აქ, ლენინგრადში, — გვიხსნა ლამაზმა ქალიშვილმა ინა ახობაძემ. — მე და ფელიქს დანელია საქართველოდან ვართ, ესენი კი — თამარ ძაცეევა და ახსარ მამსუროვი — ჩვენი მეზობლები არიან ჩრდილოეთ ოსეთიდან. ახსარი ოსეთის თანამედროვე მწერლის მამსუროვის შვილია.

ახალგაზრდებმა ხალისით გვიამბეს, როგორ სწავლობენ და როგორ ისვენებენ. თვითეული მათგანი ოცნებობს იმ დღეზე, როცა ლენინგრადის უნივერსიტეტის დიპლომით დაუბრუნდება თავის მშობლიურ კუთხეს. ისინი უკვე კარგად იცნობენ ლენინგრადს, მის ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, თეატრებს, პარკებს, გარეუბნებს. მათ განსაკუთრებით მოსწონთ ერმიტაჟი, რუსეთის მუზეუმი. კვირაობით დადიან პეტროდვორეცში ან კიდევ გემით მიემგზავრებიან ნევის ტყე-პარკში. დრო სწრაფად და შინაარსიანად გადის. ამას წინათ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე მოხდა სტუდენტების საინტერესო შეხვედრა ფრანგი ტურისტების ჯგუფთან. უცხოელი სტუმრები, რომლებიც ასე ხშირად ჩამოდიან ლენინგრადში, მუდამ ნახულობენ უნივერსიტეტს, სადაც ესაუბრებიან საბჭოთა ახალგაზრდებს.

— ჩემი საყვარელი თეატრია ოპერისა და ბალეტის თეატრი — ამბობს ინა ახობაძე, — მე თითქმის ყველა ოპერა მოვისმინე. გარდა ამისა, ჩვენ ვესწრებით ლექციების ციკლს კიროვის სახელობის კულტურის სასახლესთან არსებულ მუსიკალურ ლექტორიუმში.

— თქვენ როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? — შევეკითხეთ ფელიქს დანელიას.

— თავისუფალი დრო არც თუ ბევრი გვაქვს, — ღიმილით თქვა ახალგაზრდამ. — მე დავდივარ საჯაორო ბიბლიოთეკაში, ვკითხულობ იქ ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებს. ჩვეულებრივ კი საღამოობით ვემზადებით მეცადინეობისათვის, დავდივართ ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორიუმში. ამ მოკლე ხნის წინათ ჩვენმა ჯგუფმა ვასილევსკის კუნძულის ერთ-ერთი სახლმეურნეობის საბავშვო ოთახის შეფობა იკისრა. აქ ჩვენ ახლა გავდივართ პედაგოგიურ პრაქტიკას. მაგრამ, რასაკვირველია, — დასძინა ჭაბუკმა, — ვასწრებთ სტადიონზე წასვლასაც, კინოსა და თეატრსაც არ ვაყლდებით. ლენინგრადში ძნელი არ არის ისეთი ადგილის არჩევა, სადაც შეიძლება დრო საინტერესოდ გაატარო.

მაგრამ უეცრად გაისმა ზარის ხმა და ახალგაცნობილნი აუდიტორიისაკენ გაეშურნენ. ჩვენ კი წავედით ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანატში. დეკანის მოადგილეს ა. ა. დმიტრიევს გავესაუბრეთ და შევეკითხეთ, რა შეუძლია თქვას, მაგალითად, ფელიქს დანელიაზე.

— დანელია ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტია, — გვიპასუხა ამხ. დმიტრიევმა. ნიჭიერი, სერიოზული, დაკვირვებული ახალგაზრდაა. იგი წარმატებით გადავიდა მეორე კურსზე და კარგებსა და ფრიადებზე სწავლობს.

ბევრი ასეთი მაგალითი დაგვისახელეს სხვა ფაკულტეტებზეც.

დაგვაინტერესა იგრეთვე, როგორ სწავლობენ ქართველი ასპირანტები. პირველი დაგვისახელეს გიორგი ისიდორეს-ძე რუსიეშვილი. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს უნივერსიტეტში.

რუსიეშვილს პატივს ცცემენ არა მარტო მისი ცოდნისა და ნიჭისათვის, არამედ შესანიშნავი ბიოგრაფიისთვისაც. იგი ბათუმიდან არის. ამ ქალაქში დაამთავრა სკოლა, შემდეგ გაწვეულ იქნა არმიაში. მალე ომი დაიწყო. ბრძოლებში ერთ-ერთ ინჟინერ-ტორპედოთა ბრიგადაში ებრძოდა ფაშისტურ ურდოებს. ოთხჯერ იქნა დაჭილდოებული. მრავალჯერ აქვს მოცხადებული მადლობა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებით.

სახელმოხვეჭილი მეომარი საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნისას შეევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში.

1946 წელს დემობილიზაციის შემდეგ რუსიეშვილი შეევიდა ბათუმის მ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ბათუმშიც დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

შემდეგ გიორგი რუსიეშვილი ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა ხულოს რაიონის სოფელ ჯაბნიძეების სკოლაში. მაგრამ მას მეცნიერული მოღვაწეობის დაუცხრომელი სურვილი ჰქონდა, რისი განხორციელებისათვის ჩვენს ქვეყანაში ყველა შესაძლებლობაა.

და აი რუსიეშვილი ლენინგრადის უნივერსიტეტის ასპირანტია. ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა მეცნიერის — უნივერსიტეტის რექტორის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. დ. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით იგი მუშაობს რთულ თეორიულ თემაზე, რომელმაც უნდა გაამდიდროს მათემატიკური მეცნიერება.

ჩვენ აგრეთვე გავიგეთ, რომ ასპირანტი ვალენტინა ფარნაოზის ასული ტურჭულაძე, რომელსაც ეკონომიური ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, ამუშავებს სადიპლომო პროექტს მნიშვნელოვან თემაზე — „ხელფასი სსრ კავშირის ფეხსაცმლის მრეწველობაში“. მას დაწვრილებით შეუსწავლია მეფეხსაცმელეთა შრომის პირობები და ხელფასი. დასკვნები, რომლებსაც ვ. ფ. ტურჭულაძე აკეთებს, უაღრესად დასაბუთებულია და მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ეკონომისტებისათვის.

ლენინგრადის მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია. ინსტიტუტის 10 ფაკულტეტზე 5 ათასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს. მათ შორის ბევრია მზიური საქართველოს წარმომადგენელიც.

ჩვენ ვეწვივეთ მექანიკურ-მანქანათსამშენებლო ფაკულტეტს, რომელიც ამზადებს სხვადასხვა სპეციალობის ინჟინრებს.

— თქვენ გაინტერესებთ ქართველი სტუდენტები, — გვიპასუხა შეკითხვაზე დეკანის მოადგილემ ნ. ს. მენშიკოვმა. — დაწერეთ ჩვენს თანგაზეთში.

ჩვენ ასეთი ჩვენს თანგაზეთ მელაშვილზე. იგი ფრიადოსანი სტუდენტი და კარგი ადამიანია. მეორე კურსზე სწავლობს და ამ ხნის განმავლობაში თითქმის მარტო ფრიადებს იღებს. ეს არის დაკვირვებული ახალგაზრდა და მისგან უსათუოდ კარგი ინჟინერი გამოვა. გარდა ამისა, თანგაზეთ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი და საუკეთესო ამხანაგია. იგი მუდამ პირველი ეწევა დახმარებას ჩამორჩენილებს, ბევრს მეცადინეობს მათთან.

ქართველმა სტუდენტებმა გვთხოვეს გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით სალამი გადავცეთ მათს მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს.

— ჩვენ ვცდილობთ კარგად ვისწავლოთ, — ამბობენ ისინი, — რათა შევიძინოთ მტკიცე ცოდნა და მეტი სარგებლობა მოვუტანოთ მშობლიურ საქართველოს და მთელ ჩვენს საყვარელ ქვეყანას.

ვ. იუნოშევა,
ო. კარიშევი.

სურათზე: ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ) ფელიქს დანელია, ინა ახობაძე, თამარ ძაცეევა და ახსარ მამსუროვი.

ფოტო გ. სინელნიკოვისა.

* * *

ახალი საარეცხი სითხე

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ქიმიკოს-ტექნოლოგმა ა. კარჩაულმა აზერბაიჯანელ სწავლულთან ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატ მ. აშიმოვთან ერთად შექმნა ახალი საარეცხი სითხე „კა-1“. იგი მუქი ფერისაა და შედგება სინთეზურად ისეთი ძლავრი კომპონენტებისაგან, რომლებიც ცალცალკე ფართოდ იხმარება საფეიქრო და ტრიკოტაჟის წარმოებაში ყველა სახის ბოჭკოვანი ქსოვილების დასამუშავებლად. ახალი საარეცხი სითხე სრულიად არ შეიცავს ცხიმს.

ასი გრამი საარეცხი სითხე წარმატებით ცვლის 500 გრამ საპონს. იხმარება როგორც ბამბის, ისე შალის, აბრეშუმისა და სხვა ბოჭკოვანი ქსოვილების გასარეცხად. აღსანიშნავია, რომ იგი ნეიტრალურია და თავის თვისებებს მთლიანად ინარჩუნებს ყოველგვარი სიხისტის წყალში — ზღვის წყალშიც კი!

სითხე „კა-1“ რეცხვის დროს თეთრეულს ათეთრებს (უტუტეოდ), ხოლო ფერად ქსოვილებზე — ახალისებს ფერებს. გარდა ამისა, ქსოვილზე ამოჰყავს ყველა სახის ცხიმის, მათ შორის მცენარეული ზეთის, მაზუთის ლაქები (გარდა ფერადი ლაქებისა — ღვინო, მელანი და სხვ.).

ახალი სითხის გამოყენება დიდად ამცირებს რეცხვის შრომატევადობას, ამსუბუქებს დიასახლისის შრომას. ჩვეულებრივ საოჯახო პირობებში დიასახლისს უხდება საარეცხის რამდენჯერმე დასაპვნა და სუფთა წყალში ამოდება. ამ სითხის ხმარების დროს საკმარისია ცივი წყლისა და სითხის ნაზავში (100 გრამი სითხე 10 ლიტრ წყალზე) ჩავყაროთ საარეცხი (2-2,5 კილოგრამი), დავდგათ ნელ ცეცხლზე, ვიდრე ნაზავი დუღილამდე (ε 80°) არ მიაღწევს, შემდეგ გადმოვცალოთ საარეცხ ვარცლში ან გობში და ჭეჭყვა დავიწყოთ, როცა წყალი ხელით მოსათმენ ტემპერატურამდე (35-40°-მდე) გაგრილდება, მერე საარეცხი კარგად გაივლება სუფთა წყალში. რეცხვის დროს თეთრეულს მოყვითალო ფერი ეძლევა, გაშრობის შემდეგ თეთრდება.

ოდნავ შეცვლილი წესით ხდება შალეულის, ნატურალური აბრეშუმისა და ფერადი ქსოვილების გარეცხვა. ნორმაზე მეტი სითხის ხმარება არ ავნებს საარეცხს, პირიქით.

საარეცხი სითხე „კა-1“ აითვისა საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სასწავლო-სამრეწველო საწარმომ და უშვებს მას. სითხე იყიდება სამეურნეო საქონლის მაღაზიებში.

ლიტერატურა და ხელოვნება

* * *

მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში

წარმატებით მიმდინარეობს ახალი თეატრალური სეზონი თბილისის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში.

სეზონის გახსნის პირველსავე დღეებში თეატრმა მაყურებელს უჩვენა რამდენიმე ახალი წარმოდგენა — მ. სტეგლოვის „ნამცხვრის სახლი“, ი. რომანოვიჩის „მედოლის ბედი“ და ვ. როზოვის „გზა მშვიდობისა“.

სპექტაკლების დადგმა ეკუთვნით თეატრის მთავარ რეჟისორს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. მარშაკს, რეჟისორებს გიორგი ყარელს და ე. შაფოშვილს, მხატვრობა—ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. შტინბერგს და მხატვარ ო. ჯაფარიძეს, მუსიკა — კომპოზიტორ ვ. ბეიერს.

20 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა ბათუმში. საგასტროლო რეპერტუარის 11 პიესა განკუთვნილი იყო როგორც უმცროსი ასაკის, ისე მოზარდი მაყურებლისათვის.

ბათუმში თეატრმა გამართა 23 სპექტაკლი. გასტროლების დროს მან მაყურებელს უჩვენა თავისი მეთოხე ახალი დადგმა—ლ. კულიჯანოვის და ი. სეგალის პიესა „ჩვენი ქალიშვილი“.

ამჟამად თეატრის კოლექტივი მუშაობს ორი ახალი დადგმის განხორციელებაზე, რომლებიც ნაჩვენები იქნება მომდინარე წლის ბოლომდე.

შეხვედრა მსახიობებთან

შრომითი რეზერვების დიდმის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის № 10 სასწავლებლის კლუბში ამ დღეებში მოსწავლეებმა და პედაგოგიურმა პერსონალმა შეხვედრა მოუწყეს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს სტალინური პრემიის ლაურეატებს, სსრ კავშირის სახალხო არტისტებს ა. ხორავას და ა. ვასაძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მასწავლებელმა პ. გაჩეჩილაძემ. ა. ვასაძე დამსწრეთ ესაუბრა როგორც პირად მუშაობაზე, ისე ა. ხორავას შემოქმედებაზე, და გააცნო მათ თეატრის უახლოესი ახალი დადგმის — „ტარიელ გოლუას“ მზადება.

მსახიობებს მიესალმნენ საწარმოო სწავლების ოსტატები ბ. გაწერიძე და გ. მელაძე, მოსწავლეები ა. ცხოვრებოვი და ვ. თხელიძე, შრომითი რეზერვების კულტურის რესპუბლიკური სახლის დირექტორი ვ. ნოდია. ა. ხორავამ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის და მიულოცა მათ სახელმწიფო შრომითი რეზერვების დაარსების 15 წლისთავი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც, ა. ხორავას და ა. ვასაძის გარდა, მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის სახელობის თეატრისა და ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებმა.

„მაია წყნეთელი“ ჭიათურის თეატრში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მორიგ ბრიგადირად მაყურებელს უჩვენა დრამატურგ ვ. კანდელაკის ჰეროიკული კომედია „მაია წყნეთელი“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ბ. ფრანგიშვილმა, მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბიანდაძემ, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ვ. კურტიდის.

როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ნუცუბიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. ტყაბლაძე და მ. ვაშაძე, მსახიობები მ. ვალიშვილი, ა. ბარათაშვილი, მ. კუსიანი და სხვ.

„დავითიანის“ ახალი აკადემიური გამოცემა

საბჭოთა ხალხები სიყვარულით აღნიშნავენ დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავს. ამ თარიღთან დაკავშირებით სახელგამმა აკადემიურად გამოსცა დ. გურამიშვილის „დავითიანი“. სახელგამის მიერ გამოცემული „დავითიანი“ წინა გამოცემების უბრალო გამეორება როდია. ამ გამოცემაში მთლიან ტექსტთან ერთად დაბეჭდილია აკადემიური გამოცემისათვის საჭირო აპარატური — შესავალი წერილი, ვარიანტები, ბიბლიოგრაფია, კომენტარები და ლექსიკონი. სახელგამის ეს გამოცემა უდავოდ მაღალ დონეზე დგას.



როგორც ცნობილია, დღემდე დავითიანის რვა გამოცემა არსებობს, მაგრამ არც ერთი მათგანი მთლიან ტექსტს არ შეიცავდა, გარდა ამისა მათ არ ახლდა ვრცელი და მეცნიერულად დადგენილი კომენტარები, ლექსიკონი, რაც მკითხველს საშუალებას მისცემდა უფრო ღრმად და საფუძვლიანად გასცნობოდა დავით გურამიშვილის მდიდარ შემოქმედებას.

ამ გამოცემაში გამოსწორებულია ყველა ის ხარვეზი, რომელიც წინა გამოცემებს ახასიათებდა. ყოველმხრივ დაჯეგილი მთლიანი ტექსტის დასადგენად უთუოდ დიდი და ნაყოფიერი შრომა გაუწევია სარედაქციო კოლეგიას (ირ. აბაშიძე, ალ. ბარამიძე (რედაქტორი), ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი). წიგნს დართული აქვს სარედაქციო კოლეგიის წინასიტყვაობა, სადაც სრულიად ახლებურად, საფუძვლიანად არის გაშუქებული დავით გურამიშვილის შემოქმედების მთავარი მოტივები. „დავითიანის“ ამ მეცნიერულად დადგენილ ტექსტს დართული აქვს მდიდარი, საქმის ცოდნით შედგენილი კომენტარები და ლექსიკონი, მომზადებული კ. კეკელიძისა და ი. გიგინეიშვილის მიერ.

კ. კეკელიძის მიერ შედგენილი კომენტარები გაკეთებულია მეცნიერული კეთილსინდისიერებით. აქ ყოველი კომენტარი, „დავითიანის“ ამა თუ იმ ადგილის ახსნა დაფუძნებულია ღრმა მეცნიერულ კვლევა-ძიებაზე, ფაქტიურ მონაცემებზე. იგი ამომწურავ პასუხს იძლევა ამა თუ იმ ძნელად გასაგები ადგილის სრულყოფილად გაგებისათვის.

სერიოზული მუშაობა გაუწევია ივ. გიგინეიშვილს „დავითიანის“ ლექსიკონის შესადგენად. როგორც ცნობილია, გურამიშვილი ხშირად ხმარობს დიალექტურ ფორმებს, რომლებიც ყველა მკითხველისათვის მისაწვდომი არ არის. წინა გამოცემებთან განსხვავებით ამ ლექსიკონში თითქმის ყველა სიტყვაა განმარტებული, რაც დიდად დაეხმარება მკითხველს უფრო ღრმად ჩასწვდეს გურამიშვილის მდიდარ ლექსიკას.

აკადემიური გამოცემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნის გარეგნულ მხატვრულ გაფორმებას. ამ მხრივაც ეს გამოცემა ყველა გამოცემასთან შედარებით მაღლა დგას (მხატვრები დ. და ვ. ქუთათელაძეები). წიგნის ფორზაცი და სატიტულო ფურცლები კარგი გემოვნებით არის შესრულებული და შეხამებულია ტექსტთან.

„დავითიანის“ ახალი აკადემიური გამოცემა ძვირფასი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტსა და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას სერიოზული მუშაობა გაუწევიათ „დავითიანის“ დროზე და მაღალხარისხოვნად გამოცემისათვის.

ირ. არაბული.

ჩინელი მწერლის დინ ლინის რომანი ქართულ ენაზე

თანამედროვე ჩინური ლიტერატურის წარმომადგენელი, ჩინეთის მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე დინ ლინი მთელ მსოფლიოში ცნობილია როგორც ნიჭიერი მწერალი და მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლი ქალი. 1948 წელს იგი მონაწილეობას იღებდა ქალაქ პრაღაში გამართულ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კონგრესში, ხოლო 1949 წელს — პარიზში გამართულ მშვიდობის მომხრეთა პირველ მსოფლიო კონგრესში. 1949 წლის შემოდგომაზე დინ ლინი ესტუმრა საბჭოთა კავშირს, სადაც მონაწილეობა მიიღო ქალთა საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს სესიის მუშაობაში.

დინ ლინის ერთ-ერთი შესანიშნავი რომანია „მზე მდინარე სანგანზე“, რომლისათვისაც მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის დადგენილებით მიენიჭა სტალინური პრემია. ამ რომანში მწერალმა ქალმა დაგვიხატა მკაფიო და მართალი სახეები ახალი მოწინავე ადამიანებისა, რომლებიც ჩინეთის განთავისუფლებულ მიწაზე სოციალისტურ გარდაქმნის აწარმოებენ.

დინ ლინის რომანი „მზე მდინარე სანგანზე“ თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის რუსულ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ენებზე.

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა დინ ლინის რომანი „მზე მდინარე სანგანზე“. რომანის ქართული თარგმანი ეკუთვნის პოლო აბრამიას. წიგნს წამძღვარებული აქვს კრიტიკოს შალვა ალხაზიშვილის წინასიტყვაობა. დინ ლინის რომანი „მზე მდინარე სანგანზე“, რომელიც ქართულ ენაზე გამოცემულია 10.000 ცალი ტირაჟით, გაფორმებულია ლამაზად, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 8 მანეთი.

შემოდგომა გამოფენაზე

სექტემბრის მესამე დეკადაში მოსკოვი თითქმის გამოეთხოვა სითბოს — გახშირდა ქარი, წვიმები, დადგა ღრუბლიანი დღეები, შემოდგომის პირველი დღეები...

დღითიდღე სულ უფრო იგრძნობა შემოდგომა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე. თუმცა წინანდებურად სავსეა გამოფენის განკარგულებაში არსებული 60 სასტუმრო 30 ათასი ადგილით. ისევე როგორც გამოფენის პირველ დღეებში, ახლაც მოსკოვში გამოფენაზე ყოველდღე ჩამოდის 4.500-მდე ექსკურსანტი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან, ისევე როგორც წინათ, ახლაც ექსკურსანტები 6 დღეს რჩებიან გამოფენაზე და, მაშასადამე, ყოველდღე აქ ნახავთ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან ჩამოსულ 25-30 ათასამდე კაცს.

ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ხალხთა დიდი და მეგობრული ოჯახის წარმომადგენლებთან ერთად სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ყოველდღე ნახავთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, აგრეთვე მსოფლიოს ათობით სხვა სახელმწიფოდან ჩამოსულ სტუმრებს.

მაგრამ შემოდგომამ თავისი პირველი კვალი უკვე დაჩნია გამოფენის ტერიტორიის გარეგან სახეს და ექსპოზიციებს პავილიონებში. ფოთლები ცვივა ნეკერჩხალს (და არა მარტო ნეკერჩხალს). ყვითელი ფერი დაედო სხვა ხეების ფოთლებსაც. ცოცხალი ყვავილების ფართო ხალიჩებზე, რომლებიც ახლაც კი თვალს იტაცებენ, ზაფხულის ყვავილებს შემოდგომის ყვავილები ცვლიან.

დედაქალაქის სტუმრებთან ერთად გამოფენაზე ყოველდღე შეხვდებით ბევრ მოსკოველს. როგორც სტუმრები, ისე მოსკოველები ინტერესით ათვალიერებენ მეცხოველეობის ქალაქს, რომელიც ახლა თანდათანობით ღარიბდება. აქედან უკვე გაიგზავნა ცხოველთა პირველი ჯგუფები, რომლებიც ჯერ კიდევ აპრილ-მაისში ჩამოიყვანეს გამოფენაზე. სხვა ექსპონატებთან ერთად, რომლებიც თავიანთ მეურნეობებს დაუბრუნდნენ, გამოფენიდან წამოიყვანეს ყულარის მეურნეობიდან ჩამოყვანილი ულაყი „ლაგოდეხი“. ბევრი მნახველია პირუტყვის გამოსაყვან მინდორზე, სადაც ცხოველებს აჩვენებენ.

არ წყდება მნახველთა ნაკადი მიჩურინის ბაღში, სადაც ჯერ კიდევ ნაყოფით არის დახუნძლული საგვიანო ჯიშის ვაშლის და ქლიავის ხეები.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს კარტოფილისა და ბოსტნეულის პავილიონი, აგრეთვე კენაფი და ჯუტი, რომლებიც გაშენებულია ლაფნუული კულტურების ღია ნაკვეთებზე. მართალია ჯერ კიდევ ამწვანებულია სიმინდი და კიდევ ბიბინებს საშემოდგომო კულტურების ყანები, მაგრამ რაც უფრო ძალაში შედის შემოდგომა, მით უფრო მეტი შავი ხნული ჩნდება საექსპონატო ნაკვეთებზე.

აქ საგვიანო კულტურების მოსავალს იღებენ ღია ნაკვეთებზე, სულ უფრო ივსება გამოფენის ორანჟერიები და სათბურები. ორანჟერიებსა და სათბურებში დღითიდღე მატულობს სამხრეთის სითბოს მოყვარული „მცენარეების და ბუჩქების რაოდენობა. მაგალითად, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პავილიონის ორანჟერიაში უკვე დაამწიფეს ციტრუსოვანი კულტურების ახალგაზრდა ხეები, რომლებიც დღემდე პავილიონის ახლოს ღია ნაკვეთზე იდგნენ. მახლობელ დღეებში აქვე გადმოსახლდებიან ღია ნაკვეთიდან ამოღებული ისეთი ხეები, როგორიც არის მარაოსებრი პალმები, ტუნგო, ჭეშმუტა, კეთილშობილი დაფნა, ევკალიპტი.

საქართველოს სსრ პავილიონის შესასვლელთან თავის ადგილზე დარჩა ვეებერთელა უნიკალური ფინიკის პალმა, გამოფენის ერთ-ერთი მშვენება. ამ პალმისათვის აგებულია სპეციალური სახლი, სადაც იგი შემოდგომასა და ზამთარს გაატარებს. ამოთხარეს ყუთები, რომლებშიც ჩარგული იყო ბამბუკის სხვადასხვა ხეები. ეს ხეები ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გამოიზამთრებენ პავილიონის ჩაის პლანტაციაში, რომელიც გადახურულ იქნება. აქვე გადმოტანენ დიდ ყუთებში ჩარგულ ჩაის ბუჩქებს აზერბაიჯანის სსრ პავილიონიდან.

გავა კიდევ რამდენიმე დღე, და კაპიტალური ფარდულით იქნება გადახურული რესპუბლიკის პავილიონის ხეხილის ბაღი და ვენახი.

შემოდგომამ გავლენა მოახდინა არა მარტო გამოფენის ტერიტორიის გარეგნობაზე. შემოდგომა იგრძნობა პავილიონების ექსპოზიციებში, რომელთა სტენდებზე ენახულობთ სულ უკანასკნელ ცნობებს 1955 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის შესახებ. მნახველები და ექსკურსანტები ეცნობიან ციფრებს, რომლებიც მოგვითხრობენ, რომ ჩვენი ქვეყნის ბევრმა კოლმეურნეობამ წელსვე გააორკეცა მარცვლეულის მოსავალი, რომ დიდად გაიზარდა რძის, ხორცის, მატყლის, კვერცხისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

გრძელდება გამოფენის საუკეთესო მონაწილეების დაჯილდოება მედლებითა და ძვირფასი საჩუქრებით. უნდა აღინიშნოს, რომ იმ ავტომანქანების, რადიომიმღებების, მოტოციკლების, საათების, საკერავი მანქანებისა და სხვა ნივთების ღირებულება, რომლებითაც აჯილდოებენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საუკეთესო მონაწილეებს, მიმდინარე წელს 100 მილიონ მანეთს აღემატება.

ს. რიჭინაშვილი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაზე

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ვ. ვ. კუზნეცოვის განცხადება

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკადესი). გუშინ სსრ კავშირის დელეგაციის შეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაზე ვ. ვ. კუზნეცოვმა პრეს-კონფერენცია გამართა უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების მომავალი არჩევნების საკითხზე.

ვ. ვ. კუზნეცოვმა თავის განცხადებაში გაიხსენა, რომ გენერალურმა ასამბლეამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად უნდა აირჩიოს უშიშროების საბჭოს სამი არამუდმივი წევრი ნაცვლად ახალი ზელანდიის, ბრაზილიის და თურქეთისა, რომლებიც უშიშროების საბჭოდან გადიან.

როგორც ცნობილია, განაცხადა ვ. ვ. კუზნეცოვმა, უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში, გარდა მისი ხუთი მუდმივი წევრისა. არის ექვსი არამუდმივი წევრი, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა არჩევს სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპის შესაბამისად. ამის თაობაზე არის აგრეთვე 1946 წელს ლონდონში მიღწეული ჯენტლმენური შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა გეოგრაფიული რაიონების ქვეყნები, წარმოდგენილი უნდა იყონ უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა შემადგენლობაში ერთ-ერთი სახელმწიფოთა, რომელიც ამა თუ იმ რაიონში შედის.

აღნიშნა რა, რომ ამ პრინციპს იცავდნენ მთელი რიგი წლების განმავლობაში და რომ გამოცდილება, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავისი არსებობის პერიოდში შეძინა, ადასტურებს ასეთი პრინციპის სასურველობასა და მიზანშეწონილებას, ვ. ვ. კუზნეცოვმა თქვა:

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრინციპი უკანასკნელ წლებში დარღვეულ იქნა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რის შედეგად ამ რაიონის ქვეყნები უკანონოდ არიან მოკლებული თავიანთ წარმომადგენელს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა შემადგენლობაში. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ.

ახლა, უშიშროების საბჭოს მოროგი არჩევნების დროს, განაგრძო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, კვლავ მიმართავენ ცდას საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევით უშიშროების საბჭოში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ადგილზე გაიყვანონ ფილიპინები, რომლებიც ათაპობით მილზე მდებარეობენ აღმოსავლეთ ევროპიდან.

ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ წელს აღმოსავლეთ ევროპის რაიონში შემავალმა ქვეყნებმა თავიანთ შორის შეთანხმებით თავიანთ კანდიდატად უშიშროების საბჭოს მომავალ არჩევნებში დასახელეს პოლონეთი. ამ გადაწყვეტილების დასაბუთებლად ვ. ვ. კუზნეცოვმა გაიხსენა პოლონეთის მნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში, კერძოდ, პოლონელი ხალხის თვალსაჩინო როლი მეორე მსოფლიო ომში მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ გამარჯვების მოპოვების საქმეში, პოლონეთის აქტიური მონაწილეობა ერთობლივ ღონისძიებებში ომისშემდგომ პერიოდში საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში. ამასთან დაკავშირებით ვ. ვ. კუზნეცოვმა დაიმოწმა, კერძოდ, პოლონეთის როგორც კორეაში დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიის წევრი, აგრეთვე ინდოჩინეთში საერთაშორისო კომისიის წევრის საქმიანობა.

არ შეიძლება არ დავინახოთ, თქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, რომ ამჟამად, როცა საერთაშორისო ვითარება ითხი სახელმწიფოს ქენევის თათბირის შემდეგ გაუმჯობესდა, ცდები — ჩაშალონ უშიშროების საბჭოში პოლონეთის არჩევა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა დასახელეს, უკან ეწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ეს ცდები — დაარღვიონ არსებული საერთაშორისო შეთანხმებანი არ შეესაბამებიან „ქენევის სულისკვეთებას“ და არ შეიძლება ხელი არ შეუშალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ თავისი ამოცანების წარმატებით შესრულებას საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საქმეში.

თავისი განცხადების დასასრულს ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს პოლონეთის კანდიდატურას და იმედი გამოთქვა, რომ სხვა დელეგაციებიც მხარს დაუჭერენ ამ კანდიდატურას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესიის გადაწყვეტილებანი

ბუდაპეშტი, 14 ოქტომბერი. (საკადესი). ბუდაპეშტში 9-12 ოქტომბერს მიმდინარეობდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს 28-ე სესია, რომელმაც მიიღო ბევრი რიგი რეზოლუციები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და სხვა სპეციალიზებული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „ცვლილებები საერთაშორისო ვითარებაში, რაც ამ ბოლო დროს მოხდა მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის მეოხებით, საჭიროდ ხდის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის შემდგომ აქტივიზაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რათა გამოიყენოს იქ ყველა შესაძლებლობა შრომელთა ინტერესების აქტიური დაცვისათვის და ამრიგად შემდგომი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობის საქმეში.

თავის საქმიანობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მუდამ უნდა ხელმძღვანელობდეს მუშათა კლასის მოთხოვნებითა და ბრძოლით. მან უნდა მოაზდინოს თავისი მოქმედების კონცენტრაცია შრომელი მასებისათვის კონკრეტულ და აქტუალურ საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შრომელთა მდგომარეობას და ბრძოლას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში“.

რეზოლუცია აგრეთვე აღნიშნავს, რომ საჭიროა „დაცულ იქნას და გაფართოდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და მისი ეროვნული პროფცენტრების უფლებები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში და გაძლიერდეს მუშაობა ამ ორგანიზაციაში“ და ხაზგასმით აღნიშნავს „იუნესკოსთან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და ეროვნული პროფცენტრების თანამშრომლობის და, კერძოდ, შრომელთა ამ დელეგაციებას გაცვლაში მონაწილეობის დიდ მნიშვნელობას, რომლებსაც იუნესკო აწყობს“.

რეზოლუციაში საერთაშორისო მდგომარეობისა და მშვიდობისათვის, პურისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში შრომელთა და მათი პროფკავშირების ერთიანობის განვითარების შესახებ აღმასრულებელი ბიურო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის ხელმძღვანელთა მეთაურების ჟენევის თათბირი. ეს თათბირი ნიშნავს ურთიერთგაგებისა და ჰოლაპარაკების სულისკვეთებას წარმატებას და ძალის პოზიციის პოლიტიკის დამარცხებას. ეს პირველი ნაბიჯები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე მიღწეულია, უპირველესად, მშვიდობისათვის ხალხთა გადამწყვეტი ბრძოლის შედეგად, როცა ომის ავანგარდში ორიან შრომელები და ხალხთა პროფკავშირები.

აღმასრულებელ ბიუროს აგრეთვე მიაჩნია, რომ მშვიდობის განმტკიცებისათვის საჭიროა დაკმაყოფილდეს ჩაგრულ ხალხთა მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობისადმი“.

რეზოლუცია აღნიშნავს, რომ „მნიშვნელოვანი, ერთდროისა და კონტროლირებული განიარაღების განხორციელების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების დადება გზას აუხსნის საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, ამრიგად, შექმნის პირობებს, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ამაღლდეს შრომელთა ცხოვრების დონე მშვიდობისა და უშიშროების პირობებში“.

ამასთან დაკავშირებით აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას და „მიუთითოს, რომ ამ-ქამად საჭირო და შესაძლებელია დაიდოს ხელშეკრულება დიდ სახელმწიფოთა შორის შეიარაღების შემცირების პრინციპებისა და საშუალებების შესახებ. მიმართავს რა გენერალურ ასამბლეას, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს მას აგრეთვე შეუერთდეს ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებს ჩაგრული ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხზე.

აღმასრულებელ ბიუროს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის მოვალეობად მიაჩნია განავითარონ ინიციატივა, რათა მიაღწიონ განიარაღებას და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. აღმასრულებელი ბიურო მოუწოდებს სხვადასხვა რწმენისა და პროფკავშირული კუთვნილების მშრომელს მხარი დაუჭირონ ერთიანი, ფართო და გადამწყვეტი მოქმედების ყოველ ინიციატივას, ვისგანაც უნდა იყოს იგი“.

რეზოლუცია აღნიშნავს, რომ „კაპიტალისტურ სამყაროში გრძელდება და ძლიერდება შეწარმეთა და მოავრობათა შეტევა, რომლებიც ცდილობენ შრომელ მასებს დააკისრონ გამაღლებული შეიარაღების მფელი სიმძიმე“.

შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია: „ის ფაქტი, რომ მთელ კაპიტალისტურ სამყაროში არსებობს ზეექსპლოატაციის ერთნაირი მეთოდები და წარმოებს იგივე პროპაგანდა მათი გამოყენებისათვის, მოწმობს, რომ მშრომელები უნდა გაერთიანდნენ და დაირაზმონ, თუ მათ სურთ უზრუნველყონ თავიანთი ბრძოლის სრული წარმატება როგორც თვითეულ ქვეყანაში, ისე საერთაშორისო მასშტაბითაც“.

რეზოლუცია აღნიშნავს, რომ „ყველა პროფკავშირის მისწრაფება ერთიანობისა და თანამშრომლობისადმი ამჟამად საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველაზე დამაბასიათებელი ნიშანია“. ამასთან დაკავშირებით აღმასრულებელი ბიურო ადასტურებს, რომ „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია და მისი მომხრე ორგანიზაციები ზზად არიან მხარი დაუჭირონ ერთიანობის დამყარებისა და თვითეულ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან, რომელმაც გადაწყვიტა იბრძოლოს შრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის, თანამშრომლობის თანხმობის ყოველ ინიციატივას“.

აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია იუგოსლავიის პროფკავშირებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია: „მოიწონა რა წანადადებანი, რომლებიც უნგრეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ წარმოადგინა, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიურო მზარს უჭერს მეგობრული ძმური ურთიერთობის დამყარებას იუგოსლავიის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან და სურს, რომ ეს მეგობრული საერთაშორისო პროფკავშირული ურთიერთობა ხორციელდებოდეს მფელი მსოფლიოს მშრომელთა ერთიანობისათვის“.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ცნობა

ვაშინგტონი, 14 ოქტომბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე ლუზიანას შტატში გაიმართება არმიისა და ავიაციის საბრძოლო მანევრები, რაც ყველაზე დიდი მანევრები იქნება მეორე მსოფლიო ომის დროიდან. განკარგულებაში აღნიშნულია, რომ მანევრების დროს გამოიყენებენ სხვადასხვა სახეობის სამხედრო ტექნიკას, აგრეთვე „ინსცენირებულ იქნება ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომი“.

დაიხურა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია

ვენა, 14 ოქტომბერი. (საკადესი). გუშინ საღამოს გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესიის უკანასკნელი სხდომა.

სესიის მონაწილეთა გამოსვლების დამთავრების შემდეგ ა. ვარელას (არგენტინა) წინადადებით მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 1956 წელს აღინიშნოს მსოფლიო მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი წარმომადგენლების — ვან-რეინ რემბრანდტის (ჰოლანდია), ბენიამინ ფრანკლინის (ამერიკის შეერთებული შტატები), ვოლფგანგ მოცარტის (ავსტრია), ჰაინრიხ ჰაინეს (გერმანია), ბერნარდ შოუს (ირლანდია), პიერ კიურის (საფრანგეთი), ჰენრიკ იბსენის (ნორვეგია), კალიდასის (ინდოეთი), ტოიო ოდას (სესუს) (იაპონია) და თ. მ. დოსტოევსკის (სსრ კავშირი) ხსოვნა.

საორგანიზაციო კომისიის მოხსენების შემდეგ ბიუროს მოწოდებით მიმართა მშვიდობის მომხრეთა ყველა ეროვნულ კომიტეტს გაანგრძონ და გააფართოონ კამპანია ატომური იარაღის აკრძალვისათვის.

შემდეგ სესიის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს ტექსტი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვისა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისადმი. ამ თათბირზე ასობა ხალხთა სურვილები. საზოგადოებრივი აზრი არასოდეს არ დათანხმდება, რომ პირველი მიღწეული შედეგები არარად იქცეს, იგი ვერ დასჯერდება პარტოოდენ შესვენებას „ცივ ომში“.

ორავინ არ უგულებელყოფს სერიოზულ სიძნელეებს, რომლებიც უნდა გადალახოს ომის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახალი კონფერენციის დროს, რომელიც 27 ოქტომბერს იხსნება ჟენევაში.

საერთო მოწესრიგება მიღწეული ვერ იქნება სხვანაირად, თუ არა მოლაპარაკების გზით, რომელიც მოითხოვს კეთილი ნების ურთიერთგამოვლინებას და განუწყვეტელ მოთმინებას.

ყოველთვის, როცა შეთანხმება, რა მცირედიც უნდა იყოს იგი შეიძლება მიღწეულ იქნას, იგი უნდა მოხდეს. ეს საუბალებას მოგვცემს მივაღწიოთ შემდგომ განვითარებას. უშიშროების შესახებ შეთანხმება დაიჩარებდა განიარაღებას. განიარაღების შესახებ შეთანხმება ხელს შეუწყობდა უშიშროების პრობლემის და გერმანიის აღდგენის პრობლემის გადაჭრას.

განიარაღების საკითხში თვალსაზრისები იმდენად დაახლოვდა, რომ მისი განხორციელება ახლა დამოკიდებულია მხოლოდ მთავრობათა კეთილ ნებაზე. რაც შეეხება კონტაქტებისა და საერთაშორისო გაცვლის გაფართოებას, პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. საზოგადოებრივი აზრი არ დაუშვებს, რომ ჟენევის თათბირზე დღის წესრიგის ერთი რომელიმე პუნქტის გამო უთანხმოება ამ შედეგების გაბათილების საბაბი, თათბირის წარუმატებლობის საბაბი გახდეს.

დღეს, როცა შიშის გრძნობა დაგვშორდა, როცა უნდობლობა შესუსტდა, „ცივი ომის“ ტვირთი შეუწყნარებელია. ადამიანებს სურთ, რომ დაძაბულობის შენელების საკეთე დაეტყოს თვითეული ადამიანის ცხოვრებას. მათ სურთ, რომ შეიარაღების შემცირებამ თვითეულ ადამიანს მოუტანოს მეტი დოვლათი და რომ აღიკვეთოს ატომის იარაღის საძულველი საფრთხე.

ხალხები არ დაუშვებენ „ცივი ომის“ დაბრუნებას. ისინი ძოითხოვენ ახალ ღონისძიებებს საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. ისინი მოითხოვენ სამხედრო ბლოკების პოლიტიკის უარყოფას, მათ სურთ, რომ ამ მოლაპარაკების პოლიტიკა, რაც ახლა დაიწყო, გაგრძელდეს დედამიწის ყველა რაიონზე, რომელიც განიცდიან იძულებისა და ცივი ომის პოლიტიკის სიმძიმეს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს თვითეულ ადამიანს, თვითეულ ხალხს იმოქმედონ, რათა ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანაში გაიმარჯვოს ჟენევის სულისკვეთებამ.

ვენა, 1955 წლის 13 ოქტომბერი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისადმი

ვენა, 14 ოქტომბერი. (საკადესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესიამ მიიღო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისადმი მიმართვა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის მომავალ თათბირთან დაკავშირებით.

მიმართვის ტექსტში ნათქვამია:

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების მიმდინარე წლის ივლისის თათბირმა ევროპაში დიდად შეცვალა საერთაშორისო ატმოსფერო. ამ თათბირმა ასობა ხალხთა სურვილები. საზოგადოებრივი აზრი არასოდეს არ დათანხმდება, რომ პირველი მიღწეული შედეგები არარად იქცეს, იგი ვერ დასჯერდება პარტოოდენ შესვენებას „ცივ ომში“.

ორავინ არ უგულებელყოფს სერიოზულ სიძნელეებს, რომლებიც უნდა გადალახოს ომის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახალი კონფერენციის დროს, რომელიც 27 ოქტომბერს იხსნება ჟენევაში.

ინგლისის ხომალდების რაზმი ლენინგრადში

ლენინგრადი, 14 ოქტომბერი. (საკადესი). დღეს ლენინგრადელთა მრავალრიცხოვანი ექსკურსიები იყვნენ ბრიტანეთის ხომალდების რაზმის ფლაგმანზე — ავიოსან „ტრიუმფზე“, ნაღმის გადამღობ „ამოლოზე“, საესკადრო ნაღმოსნებზე. ქალაქის მშრომელებმა დაათვალიერეს ბრიტანეთის ფლოტის სამხედრო ხომალდები, ესაუბრნენ ოფიცრებსა და მატროსებს, აინტერესებდათ მათი ცხოვრება, ფოტოსურათები გადაიღეს ინგლისის სამხედრო მეზღვაურებთან ერთად.

ბრიტანელი მეზღვაურები კვლავ დადიან მუზეუმებში, თეატრებსა და კინოებში. ყველგან, სადაც კი ლენინგრადელები ხვდებოდნენ ინგლისელ მატროსებს, მეგობრული საუბრები იმართება.

დილით მეტროპოლიის ფლოტის სარდალი ადმირალი მაიკლ დენი და მისი თანმხლები ბრიტანელი ოფიცრები იყვნენ სერაფიმეს სასაფლაოზე, სადაც ალკრანული არიან ლენინის ქალაქის დამცველები, რომლებიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ დიდი სამამულო ომის წლებში. ადმირალმა მაიკლ დენიმ გვირგვინი შეამკო მარმარილოს ობელისკი, რომელსაც საბჭოთა მეავტომატის ქანდაკება აგვირგვინებს. გვირგვინის ლენტზე, რომელიც ბრიტანეთის ადმირალმა მოიტანა, წარწერილია: „მეტროპოლიის ფლოტის სარდლისაგან, ბრიტანეთის ფლოტის ხომალდების უფროსი ოფიცრების, ოფიცრებისა და მატროსებისაგან, რომლებიც ლენინგრადში ამყოფებიან. 1955 წლის 14 ოქტომბერი“.

ადმირალი მაიკლ დენი მეუღლით და ბრიტანეთის ფლოტის ოფიცრები, რომლებიც მას ახლავან, იყვნენ ცენტრალურ სამხედრო-საზღვაო მუზეუმში. ინგლისელი ადმირალი გაეცნო 54-ზარბიბზნიანი ორგემბანიანი ხომალდის მოდელს, რომელიც ინგლისის მეფემ ჯილჰელმ III აჩუქა პეტრე პირველს. მეტროპოლიის ფლოტის სარდალმა დათვალიერა სტენდები, სადაც ანახება რუსი სამხედრო მეზღვაურების სბრძოლო დიდების რელიკვიები, ფლოტის ცნობილი რუსი სარდლების პ. ს. ნახიმოვის, ს. ო. მაკაროვისა და სხვებისადმი მიძღვნილი მასალები. იყვნენ დარბაზებში, რომელთა ექსპოზიციები ასახავენ საბჭოთა მეზღვაურების გმირობას მეორე მსოფლიო ომის წლებში. ადმირალ მაიკლ დენის ყურადღება მიიპყრო საბჭოთა საესკადრო ნაღმოსნის „გრემიაშჩის“ მოდელმა, რომელიც გაკეთებულია სპილოს ძვლისა და პლასტმასისაგან.

მუზეუმიდან წასვლის წინ ადმირალმა მაიკლ დენიმ საპატიო სტუმრების წიგნში დატოვა შემდეგი ჩანაწერი: „მე აქ ვნახე რუსეთის მამაცი სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირული სალმეების დაფასტურება“.

სამხედრო-საზღვაო ბაზის მეთაურმა ადმირალმა ი. ი. ბაიკოვმა ოფიცერთა სახლში გამართა დარბაზობა ბრიტანეთის ფლოტის ხომალდების ოფიცრებისათვის. ნევაზე მდგომ საბჭოთა ხომალდებზეც გაიმართა საღილი ბრიტანეთის ესკადრის ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრებისათვის.

მეტროპოლიის ფლოტის სარდალმა ადმირალმა მაიკლ დენიმ და ინგლისის ხომალდების მეთაურებმა ავიოსან „ტრიუმფზე“ გამართეს დარბაზობა საბჭოთა სტუმრებისათვის. დარბაზობაზე იყვნენ ქალაქის საწარმოთა მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

შუადღისას ათეულ ათასობით ლენინგრადელმა ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ნახა ფეხბურთელთა მეგობრული მატჩი ბრიტანეთის ესკადრის ნაკრებ გუნდსა და ლენინგრადის მატროსთა კლუბის გუნდს შორის.

სტადიონი მორთული იყო დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. ტრიბუნაზე შეკრებილნი გულთბილად ჰიესალმნენ ინგლისის ესკადრის ფეხბურთელებს. შეჯიბრების წინ შესრულებულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. საბჭოთა მეზღვაურმა ფეხბურთელებმა სტუმრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს.

სანტერესო თამაში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა შედეგით 4:0 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

საბჭოთა ბუნებრივი მრეწველობის სპეციალისტების დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 14 ოქტომბერი. (საკადესი). რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო პალატამ 13 ოქტომბერს საუზმე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ნ. კოსიგინისა და საბჭოთა მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტების დელეგაციის წევრების პატივსაცემად, რომელსაც იგი მეთაურობს და რომელიც ამჟამად ლონდონში იმყოფება. საუზმეზე იყვნენ პალატის პრეზიდენტი გრეიდ მაგნესი და პალატის აღმასრულებელი სამეჭოს წევრები.

გ. მაგნესი მიესალმა სტუმრებს და თქვა, რომ, როგორც მას იმედი აქვს, საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლა ინგლისში ხელს შეუწყობს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო და სხვა კონტაქტების გაფართოებას, რაც მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს შეესაბამება.

საპასუხო სიტყვაში ა. ნ. კოსიგინმა მადლობა გადაუხადა გ. მაგნესს და პალატის აღმასრულებელი საბჭოს წევრებს დელეგაციისადმი უურადღებისათვის და თქვა, რომ ჟენევის სულისკვეთებამ უნდა განსაზღვროს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის როგორც სავაჭრო-ეკონომიური, ისე ყველა სხვა ურთიერთობა.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა: „ახლა ჩვენი ქვეყნებისათვის დადგა დრო ავაჭრონ ყველა სახეობის საქონლით — როგორც იმ საქონლით, რომელიც არ არის საბჭოთა კავშირში შესატანად აკრძალული საქონლის სიებში, ისე იმ საქონლით, რომელიც შეტანილია ამ სიებში“.

ინგლისელ ხომალდების ბრძოლა ინგლისში

ლონდონი, 14 ოქტომბერი. (საკადესი). საბჭოთა საზღვაო ხომალდების რაზმის მეგობრობის ვიზიტი ინგლისში ინგლისის საზოგადოებრივობის ფართო ყურადღებას იქცევს. საბჭოთა მეზღვაურების შეხვედრა ინგლისელებთან დიდი გულითადობის ვითარებაში წარმოებს.

გუშინ დღის მეორე ნახევარში საბჭოთა მეზღვაურები მივიდნენ ორ მსოფლიო ომში დაღუპულ ინგლისელ მეომართა ძეგლთან. ისინი მწყობრად ჩამწკრივდნენ რუხი ქვის მაღალ პირამიდასთან უაიტჰოლის ქუჩაზე, ლონდონის ცენტრში. ორმა საბჭოთა მატროსმა ზეიმით შეამკო ძეგლი თეთრი და წითელი მიხაკების გვირგვინით. გვირგვინის წითელ ლენტზე იყო წარწერა ინგლისურ ენაზე: „საბჭოთა ესკადრის ადმირალ გოლოვკოსაგან, ოფიცრებისა და მატროსებისაგან“. ასობით ინგლისელი, რომლებიც ცერემონიას დაესწრნენ, გულთბილად მიესალმა საბჭოთა მეზღვაურებს. დღის განმავლობაში მეზღვაურებმა დაათვალიერეს ლონდონის ძველი ციხე ტაუერი, ქალაქის სასახლეები და ძეგლები.

ყოველთვის, როცა დიდი მწვანე ავტობუსები წითელი პატარა ალმებით ქალაქის ქუჩებში ან მოედნებზე ჩერდებიან და იქიდან გამოდიან საბჭოთა მეზღვაურები, გარშემო ათობით ინგლისელი იკრიბება. იწყება გაცხოველებული საუბარი: ბევრმა საბჭოთა ოფიცერმა და მატროსმა იცის ინგლისური ენა. ავტოგრაფების მოყვარულნი უწყდიან ალბომებსა და კონვერტებს, სიგარეტების კოლოფებს — მეზღვაურები ძლივს ასწრებენ ხელმოწერას... ხანში შესულმა ინგლისელმა ხალხი გაარღვია და ხელი ჩამოართვა მეზღვაურებს. „ძალიან კარგია, რომ ჩვენში ჩამოხვედით, — თქვა მან. — ასეთი ვიზიტები ძლიერ სასარგებლო საქმეა: ისინი ხელს უწყობენ მშვიდობის განმტკიცებას“... საბჭოთა მატროსების ჯგუფს ესაუბრება ლონდონელი, რომელსაც სახეზე ნაჭრილობევი აჭვს. ეს არის ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილი მატროსი, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ ომში დაიჭრა. საბჭოთა მეზღვაურები იწვევენ მას სტუმრად კრეისერ „ალექსანდრე სუვოროვზე“. ასეთი შეხვედრა და საუბარი ბევრია. წამდაუწუმს ისმის ფოტოაპარატების ჩხაკუნი — მატროსები ინგლისელებთან ერთად სამახსოვრო სურათს იღებენ ლონდონის ისტორიული ძეგლებისა და შენობების ფონზე. იქვე ღია ბარათების გამყიდველი გაცხოველებით ვაჭრობს ლონდონის ხედებით.

საბჭოთა ოფიცრებისა და ზემდეგების ჯგუფი სტუმრად იყო გრინვიჩის საზღვაო კოლეჯის კადეტებთან. კადეტები საღილით გაუმასპინძლდნენ საბჭოთა სტუმრებს, აჩვენეს თავიანთი კოლეჯი, საზღვაო მუზეუმი და განთქმული გრინვიჩის ობსერვატორია.

გუშინ საბჭოთა ესკადრის სარდალმა ა. გ. გოლოვკომ უფროს ოფიცერთა ჯგუფთან ერთად ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა ლონდონის ლორდ-მერს.

პორტსმუთი, 14 ოქტომბერი. (საკადესის სპეც. კორ.). გუშინ ინგლისში ჩამოსული საბჭოთა ხომალდების მეზღვაურებმა გვირგვინებით შეამკეს ინგლისის საზღვაო-საზღვაო ფლოტის იმ მატროსებისა და ოფიცრების ძმათა სასაფლაო, რომლებიც დაღუპნენ ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცერემონიის დროს ინგლისელი და საბჭოთა მეზღვაურების ორკესტრებმა შეასრულეს დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები. საფლავთან ჩამწკრივებული იყო საბჭოთა მეზღვაურების სალამო ყარაული.

ბალტიის ფლოტის სარდალმა ადმირალმა ა. გ. გოლოვკომ საფლავგმანო კრეისერ „სვერდლოვზე“ მიიღო თავისი ინგლისელი თანამებრძოლები ფაშისტური ფლოტის წინააღმდეგ ომში მეორე მსოფლიო ომის დროს ადმირალები ბარნეტი, ბაროუ და მაილსი. შეხვედრამ გულთბილობის ატმოსფეროში ჩაიარა. ინგლისელმა ადმირალებმა საბჭოთა ადმირალს საჩუქრები მიართვეს.

ნაშუადღევს ადმირალმა გოლოვკომ კრეისერ „სვერდლოვზე“ მოაწყო დარბაზობა ინგლისის ფლოტის ადმირალებისა და ოფიცრებისათვის. დარბაზობაზე იყვნენ ადმირალი ფრეზერი, პორტსმუთის სამხედრო-საზღვაო ბაზის სარდალი ფლოტის ადმირალი კრიზი და ინგლისის ფლოტის მთელი რიგი უმაღლესი და უფროსი ოფიცრები. ადმირალ ფრეზერის თხოვნით საბჭოთა კრეისერის მატროსებმა შეასრულეს რამდენიმე ნომერი თავიანთი მხატვრული თვითმოქმედების პროგრამიდან.

დღის ორ საათზე დაიწყო მოსახლეობის მიერ კრეისერ „ალექსანდრე სუვოროვის“ და საესკადრო ნაღმოსნების დათვალიერება. დათვალიერების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ჩამწკრივდა საბჭოთა ხომალდებზე ყოფნის მსურველთა დიდი რიგი. ხომალდები სადღესასწაულოდ იყო მორთული სტუმრების მოსაღებად. განუწყვეტელივ უკრავს მუსიკა, გაისმის მატროსთა და ხალხური სიმღერები. სტუმრები ინტერესით ათვალიერებენ ხომალდებს. გემბანებზე გაიმართა გაცხოველებული საუბრები.

ბევრი ინგლისელი საბჭოთა ხომალდებზე ბავშვებით მოვიდა. მატროსებმა სტუმრებს აჩუქეს ვარსკვლავები, ღია ბარათები, ნიშნები და პასუხად მიიღეს ასეთივე საჩუქრები. ათობით სტუმარმა თავი მოიყარა ზომბეჭდილებათა წიგნთან. „გისურვებთ ბედნიერებას“, „გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს“, „დიდი მადლობა“, წერენ ისინი.

გუშინ საღამოს საბჭოთა და ინგლისელი მეზღვაურები ერთმანეთს შეხვდნენ ფეხბურთელთა ამხანაგურ მატჩში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ინგლისელმა მსაჯმა აღნიშნა თამაშის ფრედ დამთავრება. სამხედრო მეზღვაურთა სტადიონი, სადაც მატჩი მიმდინარეობდა, ხალხით იყო გაჭედილი.

ასობით საბჭოთა მეზღვაური დღეს გამგზავრა ლონდონში ინგლისის დედაქალაქის დასათვალიერებლად. მეზღვაურთა დიდი ჯგუფი განაგრძობდა ქალაქ პორტსმუთის დათვალიერებას

თბილისი. ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი მიახნიკოვის ქუჩაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქალთა საერთაშორისო საჰაერაკო ტურნირი

14 ოქტომბერს გაიმართა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრების მეცხრე ტური.

ყურადღების ცენტრში იყო იუგოსლავი მოჭადრაკის ლაზარევიჩის შე